№ 93 | 1877—1896 | № 93

ოთხშაბათი, 1 მაისი 1896 | ოთხშაბათი, 1 მაისი 1896

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ მოულოდნელის გარემოების გამო გადიდო 5 მაისისათვის.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და კნ. ოლღა თადეოზის ასულს

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

## კაბინეტი კბილის ექიმთა

ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## წლიური კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა დანიშნულია 4 მაისს ამ წლისა, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველნი არიან:

1 ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდან 1894 წ. 1 იანვრამდე 1896 წ.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1896 წლისათვის.

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (6—3).

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 5 მაისისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯოვისამ: ორი ბროშკა—ერთი ვერცხლისა, ერთი მინაქრისა *); ეკატერინე ასათიანისამ: შემოსწირა ხავერდზედ აბრეშუმის ძაფით ნაკერი ბალიში და ერთი ლამპის დასადგმელი; კუკიის ქართულ სკოლის მოწაფეებმა: ორი ხავერდზედ ნაკერი თავსაკრავი და სასუხრის გადასაფარებელი; ლუბა ნაცვალოვის ასულმა: პირსახოცი; თავადმა გ. ვ. გურამიშვილმა: ორი სურათი თავისის ხელით დახატული, ორი პატარა ლიტრა, ერთი საფერული, ერთი თეფში; კნ. ელისაბედ ვახტანგის ასულმა გურამიშვილისამ: 3 ბურთი, სალფეტკის რგოლი, საქინძისთავე, საწერელი და სხვანი; ბ-ნმა ბესარიონ ლოსაბერიძემ ამავე ლატარია-ალეგრისათვის რედაქციაში გამოგზავნა ერთი თუმანი; ანნა გიორგის ასულმა ხახუტოვისამ ერთი ნაკერი ბალიში და ერთი აბრეშუმის სარტყელი; ვასილ გერასიმეს ძე ბერელაშვილმა 20 ბოთლი ღვინო; თინათინა ფორაქოვისამ ნახევარ დიუჟინი ნაკერი სალფეთკი, საწერელი თავის დასადგომით, ყვავილის ვაზა და სამი ხელსახოცი; ელისაბედ გრიგორის ასულმა სიდამონ ერისთავისამ ორი ყვავილების ვაზა.

*) ეს შემოწირულება წინანდელთან ერთად მოვიდა, მაგრამ შეცდომით იქმნა გამოტოვებული.

## ახალი ამბავი

*** მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინებისა გამო დღესასწაულობა ტფილისში 15 მაისიდამ დაიწყება.

*** როგორც ქართველს საზოგადოებას მოეხსენება, ქართული საეკკლესიო გალობა სამ ხმაზეა დაწყობილი. ამ რამდენისამე წლის წინად ბ. ანდრია ბენაშვილმა მთელი წირვის საგალობელი საცდელად ოთხ ხმაზე დააწყო, ჩაუმატა მეოთხე ხმა „ტენორი“ და, როგორც ვიცით, იგალობა კიდეც რამდენჯერმე ქუთაისში. ამ მიზნის განხორციელება ამ ჟამად ტფილისში უკისრია გალობის საკმაოდ კარგად მცოდნეს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აღმზრდელს ბ. იოსებ მონადირეშვილს, შეუდგენია მგალობელთა გუნდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ოც-და-ათამდე ქალი და ვაჟი და ამ მოკლე ხანში რომელსამე ეკკლესიაში იგალობებს, რომ მოისმინონ მცოდნე პირებმა და დააფასონ რამდენად გამოსადეგია ოთხ ხმაზედ გადაღებული გალობა და ან რამდენად შენახულია ნამდვილი ქართული გალობა

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“-ე სწერს, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ 8 ათასი მან. კრედიტი მისცემოდათ მდ. ცხენისწყალზედ ბამბუასხიდის რკინის ხიდის გასადებად დ. ხონიდამ ახალ-სენაკისაკენ მიმავალ გზაზედ, შეუწყნარებიათ და დაუმტკიცებიათ.

*** იგივე გაზეთი სწერს, რომ სცენის მოყვარეთა წარმოდგენა ცოცხალის სურათებით, რომელიც წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ იქმნა გამართული 27 აპრილს, განზრახვა აქვთ ამ დღეებში კიდევ გამართონ.

*** მდ. მტკვარი ამ ბოლოს დროს თან-და-თან მატულობს და თუ ეს წვიმები შეჰყვა დიდხანს, ეჭვი არ არის, დიდს ზარალს მოუტანს როგორც ქალაქს, ისე მდ. მტკვრის პირად მდებარე სოფლებს.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ალი ფაშა თავდგირიძე“. ზ. ქ., კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა, № 56. წიგნი შეიცავს 50 გვერდს და ღირს ორ შაურად.

*** წმ. ნინოს სახელზედ არსებულ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო აცხადებს საყოველთაოდ, რომ 5 მაისს ამა წლისა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ორმოც და ათის წლის არსებობის დღეს თუ ვინმე ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ქალი მოისურვებს დასწრებას, შეუძლიანთ ადრევე წარმოადგინონ ატესტატი, ან მოწმობა, რომ ხსენებულს სასწავლებელში დაუმთავრებიათ სწავლა და სასწავლებლის კანცელარიიდამ მიიღებენ საჰირო ბილეთებსაო.

*** სოფ. ხრიალეთი, (ოზურგეთის მაზრა): 24 აპრილს, შემდეგი უბედურება მოხდა აქ: თავი მოიკლა რევოლვერით ს. ხრიალეთის მცხოვრებმა 40 წლის გლეხმა გ. იობიშვილმა. საბრალო მხნე და მუყაითი ოჯახის კაცი იყო, სოფელში ჭკვიან კაცად ითვლებოდა, რავდენიმე წლის წინად მამასახლისადაც ამოირჩია სოფელმა და ყველა მადლობელი იყო მისი რიგიანი სამსახურისათვის, თავის მოკვლის მიზეზი ნამდვილად არავინ იცის. ისე-კი მიზეზად შემდეგს ასახელებენ:

მოუწადინებია ძმის შვილისათვის ცოლის შერთვა და კიდევაც ამოურჩევია საცოლე და ქალის დედ-მამას დაჰპირებია უეჭველად შევრთავ ჩემს წმისწულს თქვენს ქალსაო, მაგრამ ვაჟის დედმამას, ე. ი. ძმასა და რძალს უარი უთქვამს. ბევრს ემუდარა თურმე საწყალი და რომ ვეღარაფერს გახდა, გადასწყვიტა თავი მოეკლა, რომ ამით აეცილებია თავიდგან სირცხვილი. ეს წინა დღეს გამოუმჟღავნებია კიდეც მეზობლებთან, მაგრამ არავის დაუჯერებია.

*** ს: ბებნისი, (გორის მაზრა): კვირას, 14 აპრილს, ბებნისის მცხოვრებთ დიდის ხნის სურვილი შეგვისრულდა და ეკურთხა აქაური ახლად დამთავრებული ეკკლესია წმ. ნიკოლოზის სახელობაზე. ეკკლესიის კურთხევის შემდგომ ბლ. გ. ედილაშვილმა წარმოსთქვა მოკლე ჹ გრძნობიერი სიტყვა.

*** ქ. ყარსი: 21 აპრილს ყარსის საკრებულო დარბაზში აქაურმა ქართულის სცენის მოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს წარსულისა და მიმდინარე წლის წყალდიდობისა და დიდის თოვლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ხანუმა“, კომედია ა. ცაგარლისა და ერთ-მოქმედ. ვოდევილი „супружеская идилія“ პოლიერისა. მონაწილეობას იღებდნენ ქ. ბბ.: კნ. ა. რ. მიქელაძისა, მ. ლ. კიკნაძისა, ს. ა. ზედგინიძისა, გ. ზ. ბ. მ. ე. გალუშკინა და ფილიპოვა; ბბ: ნ. ასათიანი, ე. ბაქრაძე, ბ. ზედგინიძე, ლ. რევიშვილი, ლ. ყანჩაველი, ს. კ. მიტროფანოვი და № №. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო და კარგადაც ითამაშეს. უმეტესობა ინტელიგენცია იყო. წმინდა შემოსავალი თითქმის ოც თუმნამდე დარჩება.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელთაც წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს და არ დაზოგეს თავისი შრომა და ხელი შეუწყეს საქველმოქმედო საქმეს. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ბ. დ. ი. კიკნაძე, აქაური ხაზინადარი და მეუღლე მისი მარიამ ლუარსაბის ასული, როგორც მოთავენი წარმოდგენისა.

*** ქ. ახალციხე: მარტის 27-ს, შუა ბაზრის მოედანზედ ალექსანდრეს ქუჩაზედ, დილის 9 საათზედ, საშინელი კაცის კვლა მოხდა. სოფ. ლეპისის საზოგადოების მწერალი თათარი ცხენზედ იჯდა და ისე ელაპარაკებოდა რაღაცა საგანზედ ერთს ჩეჩენს; მცირე ხნის შემდგომ ჩეჩენი მიჰვარდა ცხენზედ მჯდომს მწერალ თათარს და დასჭრა ხანჯლით ორ ადგილს მუცელში და თვითონ ამოღებული ხანჯლით წინ მიმავალის ფოსტისაკენ გაექანა. ზედ მჯდომმა ფოსტალიონმა რომ დაჭრილი კაცის ყვირილი გაიგონა, მოიხედა უკან და დაინახა, რომ ჩეჩენი ამოღებული ხანჯლით მისდევდა. ფოსტალიონმა სამჯერ შეუყვირა „შესდექო“, მაგრამ ჩეჩენი მაინც არ შედგა. მაშინ უბრძანა ჩაფარს „ესროლეო“. ჩაფარმა შესაშინებლად თოფი მოუღერა, მაგრამ ვერც ამითი შეაშინეს. შემდეგ ფოსტალიონმა ბევრი აღარ ახანა და რევოლვერით დასჭრა ჩეჩენი ფეხში. ჩეჩენი მაშინვე შეიპყრეს.

ხანჯლით დაჭრილი მწერალი თათარი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

## ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

27 აპრილი.

სხდომის დაწყებისთანავე დ. ი. კეზელმა მოახსენა კრებას შემდეგი: ოქმში ჩაწერილია ჩემი სიტყვები, რომ მე „უწესოებას მოვახდენ“, მაგრამ მე ამ სიტყვებს სრულიად სხვა მნიშვნელობას ვაძლევ და არა იმ გვარს, როგორიც სხვებს ჰგონიათ. მე მინდოდა მომეხდინა ჩოლოყაშვილისებური უწესოება, ესე იგი, ავმდგარიყავ და დავმჯდარიყავ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის გვერდით.

თავ. ს. რ. გახვახიშვილი. გუშინ აქ სამწუხარო ამბავი მოხდა: პატივცემული ა. ზ. ჩოლოყაშვილი იძულებულ ჰყვეს თავი დაენებებინა ზედამხედველ კომიტეტის წევრობისათვის. რადგანაც ეს გარემოება სამწუხაროა და უმთავრესად ბრალი კრების თავმჯდომარეს ედება (ხმაურობაა).

თავმჯ. თქვენ არა გაქვთ ნება პირადობას შეეხოთ, მე გთხოვთ თავმჯდომარის პირადობასა და უფლებებს ნუ ეხებით.

თავ. გ. ს. მიქელაძე. თქვენ თავმჯდომარე ხართ და არა ხალიფი.

თავ. ს. რ. გახვახიშვილი. თუ ჩვენ ამგვარი ამბავი შევიწყნარეთ, ვინ არის თავდები, რომ სხვებსაც არ განდევნიან. შეიძლება ისიც მოითხოვონ—მაგიდაზე ავიდეთ და ისე ვილაპარაკოთ (ხმაურობაა).

თავ. ლეონიძე. ვთხოვოთ თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილს, რომ ისევ მიიღოს თანამდებობა.

(ყვირილია: ვთხოვთ, ვთხოვთ თავ. ოლოყაშვილს.)

თავმჯდ. ეს შორიგი საქმე არ არის და ამის შესახებ ახლა არას გადავაწყვეტინებთ.

თავ. ნ. გ. ორბელიანი. გეფიცებით, რომ მე თვითონ ყველას ვევედრები მშვიდობიანად ვიყოთ, არა ვთქვათ უწესო რამ, არ მოვიქმედოთ ურიგო რამ. მე სწორეთ დღეს ვუთხარი საყვედური კეზელს და ვთხოვე—ნუ გამოდის ხოლმე მოთმინებიდან. ჩვენ აქ ისეთ საქმეებს ვარჩევთ, რომ სრული ყურადღება და დარბაისლობა გვმართებს. მაგრამ არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ თავ. ლ. ჯანდიერი აქ გუშინ მივიდა რამდენიმე ახალგაზრდასთან და უთხრა: იყვირეთ, იხმაურეთო. ეს ჩვენ არ გვეკადრება და მე ასე არასოდეს არ მოვიქცევი. კიდევ ვევედრები ყველას—ნუ ვიქცევით უწესოდ, ვიყოთ მშვიდობიანად.

თავ. ი. თარხნიშვილი. დღეს გაზეთში სწერია, რომ ერთმა ჩვენთაგანმა, რომელიც განათლებულია და საზოგადო მოღვაწეთა რიცხვშიც ითვლება, მონაწილეობა მიიღო კენჭის ყრაში, როდესაც თავმჯდომარეს ვირჩევდით, მიუხედავად იმისა, რომ თურმე უფლება არა ჰქონია. ბ. თავმჯდომარე, დღეს ეს კაცი თქვენ ხალიფს გიწოდებს და გემუქრებათ. განა ეს წესიერებასა ნიშნავს?!

თავმჯდ. (ზედამხედველ კომიტეტს მიჰმართავს) ეს ამბავი მეც წავიკითხე დღეს „კავკაზ.“-ში და მართალია თუ არა? აქვს თუ არა თავ. მიქელაძეს კენჭი!

შგ. თავ. ბ. გრუზინსკი. ეს ამბავი აწერილია „კავკაზ“-ის დღევანდელს ფელეტონში, რომელიც ეკუთვნის ხონელს. მე არ შევეხები, ბატონებო, იმის გარჩევას, თუ რა ადამიანი ბრძანდება ხონელი: ეს ყველამ კარგად ვიცით. ეს „მწერლობის“ ნიმუშიც თავისთავად ლაპარაკობს, თუ რა კაციც უნდა იყოს ხონელი! რაც შეეხება თვით შემთხვევას, აი საქმე როგორ იყო: თავ. ვლ. მიქელაძე, ყველამ კარგად იცით, კარგა ხანია ბანკის საზოგადოების წევრია ვექილობით, კენჭიც აქვს და არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნებაც. როგორც იცით, კრების პირველ დღეს, როდესაც თავმჯდომარეს ვირჩევდით,

ვექილობა განკარგულებისამებრ არ მიიღებოდა, მათ არ ჰქონდათ ნება მიეღოთ მონაწილეობა იმ დღის არჩევნებში. თავ. მიქელაძე გვიან მოვიდა და ეს განკარგულება არ იცოდა, ჩააგდო კენჭი და შემდეგ, როდესაც გაიგო რაშია საქმე, მთხოვა და მეც მისი კენჭი ყუთიდამ ამოვიღე.

თავმჯდ. თავ. მიქელაძევ! ლაპარაკის რიგი ეხლა თქვენია, მაგრამ გთხოვთ ნუ აღელვდებით, დამშვიდებით ილაპარაკეთ.

თავ. გ. ს. მიქელაძე. გთხოვთ წინდაწინვე შენიშვნებს ნუ მაძლევთ. მე თუ ავღელვდები, ეს გასაკვირვალი არ არის, რადგანაც შეურაცხმყვეს და ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ფიზიკის კანონს, მაგრამ საკვირველი და გაუგებარი ის არის, რომ თქვენ თითონ შფოთავთ და აღელვებული ხართ. მე სამსახურში ვიყავ 2 საათამდე. მე მაქვს ვექილობა ცოლისაგან, რომელიც წევრია ამ ბანკისა, როგორც ერთი მსესხებელთაგანი. რადგანაც გვიან მოვედი, მე არ ვიცოდი, რომ იმ დღის არჩევნებში არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა მათ, ვისაც ვექილობა ჰქონდა. მოსვლისთანავე მდივანმა დამიძახა და მე ჩავაგდე კენჭი. შემდეგ მითხრეს, ესა და ეს განკარგულება მოხდაო. მე მაშინვე ვთხოვე კომიტეტის თავმჯდომარეს ამოეღო ჩემი კენჭი ყუთიდამ და გამოვუცხადე, რომ თეთრი კენჭი თავ. ანდრონიკაშვილის ყუთში ჩავაგდე და შავი თქვენსაში, თქვენო აღმატებულებავ!

თავმჯდ. დიდად გმადლობთ, მაგრამ მაგის თქმა აღარ იყო საჭირო.

თავ, მიქელაძე. მე არასოდეს არ ვმალავ მას, რასაც ჩემის რწმენისამებრ მოვიქმედებ. ჩემი განცხადებაკი არ არის მეტი, მეტი იყო ამ საგნის აღძვრა აქ.

შემდეგ ამისა თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ დაიწყო მინისტრის მოწერილობის გარჩევა.

თ. ილ. ჭავჭავაძე. გუშინ-წინ თავმჯდომარემ კრებისამ მომანიჭა უდიდესი ყურადღება, რადგანაც ნება დამრთო შევუდგე განმარტებას, აქ თქვენს წინაშე წაკითხულ საბუთებისას იმ რიგითა და წესით, როგორსაც მე აღვირჩევ. მე საჭიროდ ვსთვლი ყოველთ უწინარეს თქვენი ყურადღება მივაქციო მინისტრის ქაღალდს, რომელიც შეადგენს სულსა და გულს რევიზიის შედეგისას. მე ავხსნი ყოველს გარემოებას ცალკ-ცალკე მუხლად, მით უმეტეს, რომ მხოლოდ ეს ქაღალდია ჩვენთვის მახვილი დამოკლისა, რომელიც დაკიდულია თავსა ზედა ჩვენსა და ამიტომ მოითხოვს დაუყოვნებლივს განმარტებას.

თავმჯდ. საქმის წარმატებისათვის გთხოვთ არ გააგძელოთ სიტყვა და ელმეორედ ქაღალდის წაკითხვით არ გააჭიანუროთ საქმე.

თ. ილ. ჭავჭავაძე. არ შეიძლება კაცმა საქმე ბნელში დასტოვოს დროს მოგებისათვის. მოკლედ თქმა ამისთანა საქმეში თვით საქმის გადაფუჩეჩებაა. (კითხულობს მინისტრის ქაღალდს).

„დარღვევა წესდებისა, რომელიც ბანკს აძლევს ნებას გასცეს სესხი მ ხ ო ლ ო დ უძრავ მამულთა თავდებობით, ცხადად გამოისახება იმაში, რომ მას 221,200 მანეთი გაუცია სესხად იმ უძრავ მამულებზე, რომელნიც მდებარეობენ აგარაკებსა და სამკურნალო ადგილებში". ეხლა ვსთხოვ ბ. თავმჯდომარეს წაიკითხონ მეთვრამეტე გვერდი რევიზორის მოხსენებისა. (კითხულობენ):

„უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა ქალაქისა და სოფლის სესხისა, ბანკს გაუცია სესხი აგარაკისა და სამკურნალო ალაგებში; მაგალითად მიუღია გირაოდ ადგილები: ბორჯომისა, აბასთუმნისა, ახალციხისა, სურამისა, კოჯორისა, ცხინვალისა და ხაშურისა; სულ ამ ადგილებში სესხად მიუცია ბანკს 221,200 მანეთი. პირადმა ჩემმა დათვალიერებამ ამა ზემო აღნიშნულის ადგილებისა იმ დასკვნამდის მიმიყვანა შესახებ დაფასებისა, რაც მე გამოვსთქვი შესახებ ქალაქის მამულებისა. ამ ადგილებიდამ, თუმცა ბორჯომისა, აბასთუმნისა და კოჯორის მამულებს შემოაქვთ შემოსავალი ზაფხულობით, მაგრამ, რადგანაც მათ მათი სახელი უკვე თავდებობს და ცხოვრების პირობანი ხელს უწყობენ, საკმარისს საფუძველს წარმოადგენენ მისათვის, რომ მიეცეს მათ გრძელ-ვადიანი სესხი, თუმც საჭიროა ეს სესხი მხოლოდ გრძელ-ვადიანის სესხისათვის წესდებით დადგენილის ვადით კი არ, არამედ უფრო შემოკლებულ ვადით გაიცეს. მანამდის კი, ვიდრე ბანკის მოქმედება ამ შემთხვევაში ნება-დართული არ იქმნება, არ შეიძლება კანონიერად ვიცნოთ ამ ადგილებში გაცემა სესხისა.

აი, რას უწოდებს რევიზორი წესდების დარღვევას. საქმე-კი აი რაში იყო: აბასთუმნისა, ბორჯომისა, კოჯორისა და სხვ. აგარაკთა პატრონებმა არა ერთხელ მოგვმართეს თხოვნით მიგვეცა მათთვის გრძელ ვადიანი სესხი იმათი მამულები გირაოდ მიგვეღო. ჩვენ ვშუამდგომლობდით სამინისტროს წინაშე და ყოველთვის ვეუბნებოდით, რომ ეს აგარაკი და სამკურნალო ადგილებიაო და სამინისტროც ნებას გვაძლევდა სესხის გაცემისას. ამგვარად ჩვენ ვაძლევდით სესხს აგარაკებსა და სამკურნალო ადგილებში, მხოლოდ საკრედიტო კანცელარიისა და სამინისტროს ნება დართვით; უამისოდ სესხის გაცემა არც შეგვეძლო. თუ გნებავთ გადაათვალიერეთ სუყველა საქმე ამგვარის სესხისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველს თითოეულს შემთხვევაში არის ნებართვა საკრედიტო კანცელარიისა გირავნობის ფურცლების გამოსაცემად სესხის მისაცემად ასეთს მამულებზე. როდესაც საკრედიტო კანცელარიამ უარი გვითხრა გირავნობის ფურცლების გამოცემაზე სოფელ ახალ-ქალაქის მამულის შესახებ, რომელიც ჩვენ აგარაკად ვაჩვენეთ, ჩვენ თავი დავანებეთ ამგვარ მამულებზე სესხის გაცემას. თქვენს ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომელიც რევიზორის მოხსენებითაც საბუთდება, რომ ჩვენ არა დაგვიკარგავს რა ამგვარის სესხის გაცემით; პირ-იქით ყოველწლიურს შემოსავალს ჩვენ მივუმატეთ სამი ათას (3000) მანეთამდის. ეხლა ეს უნდა ვიკითხო: რაში გამოისახება წესდების დარღვევა? ჩვენ მხოლოდ ისე ვიქცეოდით, როგორც სამინისტროს საკრედიტო კანცელარია ნებას გვაძლევდა დ ვმოქმედობდით ბანკის სასარგებლოდ. მე მინდა ვკითხო გამგეობის წევრებს: ამ საქმეში ხომ ყველანი ერთის აზრისა და თანახმანი ვიყავით?

თ. დ. აკალიშვილი. დიახ, მე თანამოზიარე ვიყავი.

თ. ივ. მაჩაბელი. 1891 წ. მე გამგეობის წევრობას თავი დავანებე; იმ დრომდის ჩვენ არ გაგვიცია სესხი აგარაკებზე; როდესაც 1893 წელს ხელახლად ამომირჩიეს გამგეობის წევრად, გავიგე, რომ გამგეობა აძლევდა ასეთს სესხს. მე განმარტებისათვის თ. ავალიშვილს მივმართე და მოვაგონე, რომ ეს წესდების დარღვევაა მეთქი. ავალიშვილმა მიპასუხა, რომ სამინისტრო ნებას გვაძლევდა ხოლმეო და მე, მართლაც, ვნახე ნებადამრთველი ჟურნალი მინისტრისა; გარდა ამისა ასეთი სესხის გაცემა საზარალო არ იყო ბანკისათვის; 2000—3000 მანეთი წელიწადში გვემატებოდა და ამისათვის აღარ დავრჩენილვარ კერძო აზრზე, მით უმეტეს, რომ მუდამ მაყვედრიან, რომ კერძო აზრს ვადგივარ.

თ. ილ. ჭავჭავაძე. არავის არას დროს არავისთვის ეს არ დაუყვედრებია... მაშასადამე, ამ საგნის შესახებ ყველა ერთად ვმოქმედებდით? (აგრძობს მინისტრის ქაღალდის კითხვას):

„დაფასება უძრავ მამულთა უმეტეს ნაწილად მოხდება ხოლმე ისე, რომ წმინდა შემოსავალი მამულისა ფასდება 6% კვალობაზე (Капитализація) რაც არ შეიძლება არ მივიჩნიოთ ძალიან აღმატებულად და საგანსაცდელოდ, რადგანაც მსესხებელი, რომელიც მიიღებს ასეთისს დაფასებით გაზვიადებულს სესხს, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, აღარა სცდილობს მამული ხელიდამ არ გაუშვას და თუ რაიმე შემაფერხებელი ოჯახისა და მამულის შემთხვევა მოევლინა, უტოვებს დარბეულს მამულს ბანკს, რის გამოც ბანკს ეძლევა ხოლმე ასე, თუ ისე საგრძნობელი ზარალი."

საქმე აი რაშია: 1878 წ. შემოსავალს თანხად ვაქცევდით ხოლმე 5% მიხედვით იმ ინსტრუქციისა დაგვარად, რომელიც საზოგადო კრებისაგან იყო დამტკიცებული, ე. ი. წმინდა შემოსავალს გავამრავლებდით ოცჯერ და ამნაირად ვაფასებდით მამულს. ამ ხნიდამ-კი შემოსავალს თანხად ვაქცევდით ხოლმე 6% მიხედვით, რადგანაც მინისტრმა გვიბრძანა, რომ 20-ჯერ გამრავლება შემოსავლისა მეტად დიდიაო. ეს მოწერილობა შევატყობინეთ საზოგადო კრებას და საზოგადო კრებამ მიიღო იგი. ამგვარად, ჩვენ ყოველთვის ვაფასებდით მამულს იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც თქვენგან იყო მოწონებული და მინისტრისაგან ნაბრძანები, და ვაფასებდით მამულებს 6%-ის მიხედვით. თუ არა ვსცდები, მგონი დღესაც-კი მივიღეთ ნება-რთვა სესხის გაცემისა იმისთანა მამულზე, რომლის შემოსავალიც თანხად ვაქციეთ 6%-ის კვალობაზე ზემოხსენებული მოწერილობა მინისტრისა ჩვენ მივიღეთ 18 მაისს 1877 წ., ხოლო 1878-დამ დღეინდელს დღემდე მამულის შემოსავალს თანხად ვაქცევთ ხოლმე 6% კვალობაზე. სად არის აქ დარღვევა კანონისა? ნუთუ დარღვევაა კანონისა ის, რომ ჩვენ ვიქცეოდით მინისტრის მოწერილობის დაგვარად და თქვენმიერ მოწონებულის ინსტრუქციით ხელვმძღვანელობდით. ეხლა მინისტრი გვიბრძანებს 7% კვალობაზე იანგარიშეთ თანხად შემოსავალიო. ამაზედ მერეც გვექნება ლაპარაკი. ეხლა-კი კიდევ ვეკითხები გამგეობის წევრებს—ვმოქმედობდით თუ არა ამ შემთხვევაში ყველანი ერთნაირად და თანხმად; ვინც წინააღმდეგი იყო გამოაცხადოს.

თავმჯდ. გამგეობის წევრები ჩუმად არიან—ჰგავს, ყველანი თანახმა არიან.

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. განვაგრძობ. (კითხულობს).

„სესხის გაცემა ქალაქის უძრავ მამულთა გირავნობით, რომელიც შეადგენს უმთავრესს სალსარს ბანკის შემოსავლისას, შედარებით სასოფლო მამულებზე გაცემულის ერთობილ სესხისა, მეტად გადაჭარბებულია. ამასთან გამგეობას უმთავრესად ისა აქვს ყურადღებაში მიღებული, რომ მოგების წმინდა შემოსავალმა დაფაროს მხოლოდ ბანკის სავალდო გარდასახადები და სრულიად არა ზრუნავს იმაზე, რომ ესა, თუ ის ნაწილი წმინდა შემოსავლისა დარჩეს ხოლმე მსესხებელს დასაკმაყოფილებლად თავისის პირად საჭიროებათა; მაშინ როდესაც მხოლოდ ამ გარემოებას შეუძლიან აიძულოს მსესხებელი არ დაჰკარგოს დაგირავებული მამული. ამას გარდა ძალიან ხშირ შემთხვევაში, რომელიც რევიზიას შეუნიშნავს, ცნობები შემოსავლისა შესახებ ქალაქის მამულებისა, ხან-და-ხან დამყარებულია მოგონილსა და სინამდვილესთან დაშორებულ ციფრებზედ; მაგალითად ზოგიერთ მამულთა შესახებ დაფასების საფუძვლად მიუღიათ შემოსავალი, უფრო აღმატებული, ვინემ ქირა, რომელიც ეძლევა სახლის პატრონს მთავრობის დაწესებულებათაგან პირობის ძალით. გარდა ამისა კიდევ წესდებისა და დამფასებელთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის წინააღმდეგ, დაზღვევა ქონებისა არ მიიღება ხოლმე სახეში მამულის გირაოდ მიღების დროს; იზღვევა მამული არამც თუ შემდეგ გამგეობის მიერ სესხის გარდაწყვეტისა, არამედ ხან-და-ხან შემდეგ ჟურნალის გაგზავნისა გამგეობისაგან განსაკუთრებულ განყოფილებაში საკრედიტო კანცელარიისა გირავნობის ფურცლების გამოსაცემად.

ასეთს წესს ის მოსდევს ხოლმე ხშირად, რომ დაგირავებულნი მამულნი ბანკსა რჩება და საგრძნობელი ზარალი მოსდის.

საზოგადოდ ასეთი უწესო მოქმედება ბანკისა ქალაქის მამულების დაფასების შესახებ, როდესაც ფინანსთა სამინისტროსაგან ბანკი მალავს მნიშვნელოვანთა და აუცილებელ გარემოებათ გირავნობის ფურცლებისათვის საჭიროს—უმართებულოა (неблаговидно).

ეს შენიშვნა მინისტრის მოწერილობისა გამოწვეულია სარაჯიშვილისა, ზუბალაშვილისა და ყორღანოვის მამულებზე გაცემულ სესხისა გამო, რომლებიც მოთავსებულია რევიზორის მოხსენებაში ამ რიგად:

„ისეც მოხდება ხოლმე, რომ დაფასდება და გაიცემა სესხი იმ შენობებზე, რომელთა აგება დამთავრებული არ არის, თუმცა სახურავი უკვე აქვს, მაგრამ ამასთანავე სესხის ნაწილს უკან იჭერენ, სანამ შენობა სრულიად არ დამთავრდება. ინსტრუქციის ის მუხლი, რომელიც თხოულობს, რომ დაფასების დროს მხედველობაში მიღებულ იქმნეს დაზღვევის რაოდენობა, არასოდეს არ ასრულებულა. ტფილისისა, ბათუმისა, ბაქოსი, ქუთაისისა და განჯის სახლების დათვალიერებამ დაგვანახვა, რომ ზემოხსენებული ნაკლულევანება და განსაკუთრებით სინამდვილესთან დაშორებულად ფასდებიან სახლები უფრო ტფილისში, მაგალითად, სარაჯოვის სახლი, დაგირავებული 1891 წელს: თვით ადგილი დაფასებულია 149,000 მ., ხოლო შენობანი 360,000 მან., საერთო შემოსავლად ნაჩვენებია 62,000 მ., წმინდა შემოსავლად-კი 50,000 მან., დაფასებულია თვითონ მამული 500,000 მანათად და სესხია მიცემული 280,000 მან. ცნობათა შეკრების შემდეგ-კი აღმოჩნდა, რომ ხარჯთ გამოუკლებელი შემოსავალი 28,000 მან. ყოფილა და ადგილობრივ ფასების მიხედვით მამული ღირს 300,000 მანათამდე. ყორღანოვის სახლის ხარჯ-გამოუკლებელ შემოსავლად მიღებულია 15,000 მან., წმინდა შემოსავლად—12,000მან., სახლი დაფასებულია 145,000მ. და 1894 წელს გაუციათ სესხი 87,000 მ., მართლა-კი აღმოჩნდა, რომ ხარჯ-გამოუკლებელი შემოსავალი ყოფილა 9000 მ.; კნ. ციციშვილის სახლი, რომელზედაც, დაფასების ოქმში, ხარჯ-გამოუკლებელ შემოსავლად მიღებულია 3350 მ., წმინდა შემოსავლად 2,680 მან., დაფასებულია 26,800 მ., სესხად-კი მიცემულია 16,000 მ., ნამდვილი ხარჯ-გამოუკლებელი შემოსავალი-კი ყოფილა 1600 მ.; გაზვიადებულად დაფასებულია აგრეთვე მამულები ქუთაისსა და ბათუმში; ბათუმის მამულების დაფასების გაზვიადება უნდა აიხსნას თვით ქალაქის საქმეების შეფერხებით ამ ბოლოს დროს; სხვა ქალაქებში-კი შემოსავალი არ არის გაზვიადებული, მაგრამ თუ მივიღეთ სახეში, რომ, ზოგიერთ შემთხვევის გარეშე, შენობანი არ არიან მკვიდრნი და გარეგნობითაც შელამაზებულნი, დაფასება უნდა ძალიან გაზვიადებულად ჩაითვალოს. იმის შესახებ, რომ სესხი, თანახმად წესდების მოთხოვნილებისა, უნდა შეადგენდეს 60% მამულის საღირალისა, ამაზე ლაპარაკიც უადგილოა; წესდების ამ მოთხოვნილებას ბანკის მმართველნი ყურადღებას არ აქცევენ და მხოლოდ იმით ხელმძღვანელობენ, რომ სესხი არ აღემატებოდეს მამულის ნამდვილს ფასს და რომ მამულის შემოსავალმა დაჰფაროს გარდასახადი და მამულის ხარჯი".

აქ ნათქვამია, ვითომც, გამგეობას სახეში აქვს, რომ წმინდა შემოსავალი მამულისა ჰფარავდეს ხოლმე მარტო სავადო გარდასახადს და სრულიადაც არ ზრუნავს იმაზე, რომ მსესხებელს რაიმე დარჩეს შემოსავლიდამო. ქალაქის მამულებზე ჩვენ სესხს ვაძლევთ 3/5 მამულის საღირალისას; საღირალს-კი იმ გვარად ვანგარიშობთ, რომ წმინდა შემოსავალს ერთსა ათად ვანგარიშობთ და ამ სახით შემდგარის ჯამიდამ ვაძლევთ 60% როგორც თხოულობს წესდება და ხან-და-ხან ნაკლებს. მაგრამ მეტს-კი არასოდეს. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ბანკს ამ წესისათვის ეღალატებინოს. ყოველთვის გამგეობა მოქმედებდა თანხმად წესდებისა და იმ ინტრუქციის ძალით, რომელიც თქვენ მიერ დამტკიცებულია და წარდგენილია სამინისტროს საუწყებლად. მინისტრის ქაღალდში სწერია, რომ ჩვენ წმინდა შემოსავალს ვაზვიადებთ. ეს აზრი დამყარებულია რევიზორის ჩვენებაზე, რომელმაც თვით, თავისის თვალით ჩემისა და სხვების თანადასწრებით დაათვალიერა ზოგიერთი მამული. სადგომის პატრონებმა, რომ დაინახეს „ჩინოვნიკი", რომელიც კითხულობს თუ ვინ რა ქირას იხდის სახლისას, შესაძლოა ეფიქრათ, რომ იგი ცნობებს აგროვებს სადგომზე გარდასახადის დასადებად, და ვინ იცის იქნება ამის შიშით ნამდვილი შემოსავალი სწორედ არ ეჩვენებიათ და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში მათი ჩვენება არ იყოს სარწმუნო. ეს ამბავი კიდეც ვამცნე რევიზორს. ამის მიუხედავად მე მაინც არ უარ-ვყოფ რევიზორის ნათქვამს დამფასებელთა მიერ შემოსავლის გაზვიადებაზე და სრულიად ვეთანხმები, რომ ამგვარი გაზვიადება არის; მაგალითად რევიზორი აღნიშნავს ამგვარს გაზვიადებას შემოსვლისას სარაჯოვის მამულის შესახებ. ეს მამული ორჯერ იყო დაფასებული. პირველად 1882 წ. მისი შემოსავალი ორის დამფასებლისაგან იყო აღრიცხული ორმოც და ორ (42) ათას მანეთად. (თ. ვლ. მიქელაძემ იკითხა: ვინ დააფასა ეს სახლიო? და მიუგეს, რომ პირველად თ. ივანე მაჩაბელმა და კონსტანტინე ფურცელაძემაო) და მეორედ 1891 წელს, ესე იგი ათის წლის შემდეგ, სხვა დამფასებელთა: (ჩერქეზიშვილმა და სულხანიშვილმა) ახალის სესხის გაცემის დროს შემოსავალი იყო აღრიცხული ორმოც და ათი ათას მანეთად. რა შუაშია აქ გამგეობა? დაფასება მოახდინეს დამფასებელმა, დამტკიცებულია დამფასებელ კომისიისაგან და გამგეობამ დაამტკიცა, რადგანაც არავითარი საფუძველი არა ჰქონდა ეჭვი შეეტანა დამფასებელ კომისიის დასკვნაზე რომლის მოვალეობას შეადგენს შემოწმება თითოეულის დამფასებლისაგან წარმოდგენილის ცნობებისა.

მ. გ. მაჩაბელი. დამფასებელნი უნდა განთავისუფლებულ იქმნენ პასუხის გებისაგან, რადგანაც ნამდვილი ინსტრუქცია არავის მიუცია მათთვის და მგონი ეს ინსტრუქცია კიდევაც მოსპეს. აქ საგანს ბნელი ეფინება...

თ. ი. გ. წაკწაკაძე. დიაღ, მართლაც რომ ბნელი ეფინება, რადგან თქვენ ჩაერიენით. ჩვენ ვმოქმედობდით იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც არსებობდა 1875 წლიდამ. საქმე ის-კი-არ არის კარგი იყო, თუ ცუდი ეს ინსტრუქცია, საქმე ის არის, რომ დღესაც დამფასებელნი არსებულ ინსტრუქციით ხელმძღვანელობენ. იგინი არჩეულნი პირნი არიან და თავისის მოქმედებისა თვითვე არიან პასუხის მგებელნი. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვერწმუნოთ მათ, სანამ ბოროტ-მოქმედებას არ ჩაიდენენ. დავანებოთ ამას თავი და წარმოვიდგინოთ, რომ დაფასება გაზვიადებულია. გავსინჯოთ ზემო მოყვანილი მაგალითი და ვნახოთ რამდენად მართალია ის, რომ სესხის სარგებელს უნდებოდა მთელი შემოსავალი და მსესხებელს არა რჩებოდათ რა, როგორც ამბობს მინისტრის ქაღალდი და რევიზორის ანგარიში. ავიღოთ ციფრები თვით რევიზორის ანგარიშიდამ და სიტყვა საქმეს შევუმოწმოთ.

ზუბალაშვილს გამგეობამ მისცა სესხად 60.000 მ. ყოველ წლიური შემოსავალია—7,500 მ. სავალო გარდასახადად შემოაქვს 4.200 მ. სჩანს, რომ მსესხებელს რჩებოდა ხარჯ გამოუკლებელ შემოსავალიდან 3,300 მანეთი. მეორე მაგალითი. რევიზორის ანგარიშით სარაჯიშვილის სახლი იძლევა 28.900 მან. სესხად მიცემული აქვს 280.000 მან. სავალო გარდასახადი შეადგენს 19.600 მან. წელიწადში—სჩანს, რომ ხარჯ გამოუკლებელ შემოსავლიდამ რჩება კიდევ 9.300 მან. ყორღანოვის სახლი, როგორც რევიზორი აჩვენებს, 9000 მანეთს იძლევა, სავალო გარდასახადი შეადგენს 6.090 მან. სჩანს ხარჯგამოუკლებელ შემოსავლიდამ რჩება 2.910 მან. განა შესაძლებელია ამის მერე სთქვას კაცმა, რომ სავალო გარდასახადს უნდება მთელი შემოსავალი? შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში მსესხებელს თავისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ძალიან ცოტა რჩებოდეს, მაგრამ ცოტა და ბევრი ამ შეთხვევაში ძნელი გამოსარკვევია: ერთსა ჰყოფნის 1000 მან., მეორეს არც 10.000 მანეთი. ყოველს შემთხვევაში, შეუძლებელია სთქვას კაცმა, რომ სახლის პატრონებს არა რა რჩებოდეს თავისის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, გამგეობა შემოსავლის დასაფასებლად ხელმძღვანელობდა დამფასებელთაგან შეკრებილის ცნობებით, რომელნიც წესდების ძალით უნდა შეემოწმებია დამფასებელს კომისიას და იმდენს აძლევდა სესხად, რომ სახლის პატრონს უნდა რჩებოდეს $^2/_5$ წმინდა შემოსავლისა და ასეც არის. ანგარიში ამბობს, რომ შემოსავალი გაზვიადებულია და არ ეთანხმება სინამდვილესო. მაგრამ ნუთუ გამგეობაა ამაში დამნაშავე? თუ აქ ვინმე არის დამნაშავე მარტო დამფასებელი კომისსიაა, რომელსაც ირჩევთ თქვენ და გვეუბნებით ჩვენ: აი ის კაცები, რომელთაც ჩვენ ვერწმუნებით და უნდა თქვენც ერწმუნებოდეთო.

(კითხულობს კვლავ მინისტრის ქაღალდს):

„გარდა ამისა წესდებისა და დამფასებელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის წინააღმდეგ მამულის დაზღვევა ყურადღებაში არ არის ხოლმე მიღებული, როცა ეს მამული ბანკში გირავდება; მამული იზღვევა არამც თუ შემდეგ გამგეობის დადგინებისა სესხის მიცემის შესახებ, არამედ ხანდახან მაშინაც-კი არ მიიღებენ ხოლმე სახეში, როცა ჟურნალს გაგზავნის ხოლმე ბანკი განსაკუთრებულ საკრედიტო კანცელარიაში.

თუ ამ სიტყვებით ჩვენ გვანიშნებენ, რომ დაფასების დროს დაზღვევა არ არის ხოლმე მიღებული მხედველობაში, ეს სწორედ ასეა. დაზღვევის რაოდენობით არ შეიძლება იხელმძღვანელოს კაცმა ქონების დასაფასებლად. დაზღვევა მეტად ძნელი სანდობია დაფასების დროს და ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა განცხადებული სამამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებაზედ, ე. ი. იქ, სადაც შეკრებილნი არიან საქმესთან დაახლოვებულნი პირნი, რომელთა სიტყვაც უფრო სარწმუნოა ამ შემთხვევაში. ხოლო თუ ამ სიტყვებით თხოულობენ ჩვენგან, რომ მამული დაზღვეული იყოს იმ დრომდე, ვირდე სესხის მიცემას გარდასწყვეტდეთ, ამ მოთხოვნილებას ჩვენ არ ვასრულებთ. მსესხებელი თხოულობს სესხს და ყველაფერზედ უწინ ჰსურს გაიგოს რამდენს მისცემენ სესხად, რომ ამის-დი გვარად წესდების მიხედვით დააზღვიოს მამული. თუ იგი ვერ მიიღებს იმ სესხს, რომელიც ითხოვა, რისთვის დააზღვიოს მამული, დაიდოს ამისი ხარჯი, როცა შეიძლება ეს მას არა ჰსურს, რადგანაც სესხი არც ხელს აძლევს. ჩვენ არა ვთხოულობთ ხოლმე სესხის გადაწყვეტამდე არა თუ დაზღვევის ფურცელს, არც გირავნობის მოწმობას მიტომ, რომ თუ ის სესხი, რომელსაც ჩვენ გარდავუწყვეტთ, მას ჰკუაში არ მოსდის, რის შემდეგაც ხშირად მსესხებელნი უარს ამბობენ,—გირაოს მოწმობაში-კი 50 მან. დაეხარჯება, რისთვის დავახარჯვინოთ ეს ფული? რაიცა შეეხება დაზღვევას, წესდების ძალით დაზღვევის რაოდენობა იმდენი უნდა იყოს, რამდენ სესხსაც ვაძლევთ და ამას უნდა მიემატოს კიდევ ორი წლის ბანკში შესატანი ფული. რადგანაც მსესხებელს არა ჰსურს ხოლმე ხშირად ამაზედ მეტად დააზღვიოს მამული, ჰსურს ყველაზედ პირველად გაიგოს სესხის რაოდენობა, რომ ტყუილად ხარჯი არ მოუვიდეს დაზღვევის გამო, თუ იმდენს სესხს არ გარდაუწყვეტს გამგეობა, რამდენიც ითხოვა და ან თუ სრულიად უარი ეთქვა. მაგრამ თუ გამგეობა გარდაუწყვეტს სესხს და მსესხებელიც დასთანხმდება ამ გარდაწყვეტილებას, მაშინ ვიდრე ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილის კანცელიარიაში გავგზავნიდეთ ჟურნალს, რომლითაც ვთხოულობთ ახალის გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება მოგვცენ, უსათუოდ მოვსთხოვთ ხოლმე დაზღვევის საბუთს, რომელშიაც უნდა იყოს მოხსენებული დაზღვევის რაოდენობა წესდების მიხედვით. რამდენადაც გვახსოვს, მხოლოდ ორჯერ გავგზავნეთ ჟურნალი გირავნობის ფურცლების გამოცემის სათხოვნელად. ხოლო ეს მხოლოდ კანცელარიის შეცდომაა. ხოლო არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ისე მიგვეცეს სესხი, თუ დაზღვევის საბუთი ხელში არა გვქონია. საქმე ხომ მხოლოდ მარტო ის არის, რომ სესხი უზრუნველ ყოფილ იქმნეს დაზღვევის საბუთით. ყოველივე სხვა უბრალო ფორმა არის. ამ სახით, ასეა, თუ ისე რევიზიის ანგარიში ამბობს, რომ თუმცა გაზვიადებულიაო შემოსავალი გირაოდ მიღებულის მამულებისა, და ამისდა მიხედვით გაცემული სესხიც გარდამეტებულიაო, მაგრამ თვითვე დასძენს, რომ დღეს ყველა გაცემული სესხი ყოველს შიშს გარედ არის ჩვენს ბანკში.

ამის და მიუხედავად აი როგორ ათავებს მინისტრი ამ პუნქტს:

„ამგვარს წეს-რიგს ის შედეგი აქვს, რომ ძალიან ხშირად ბანკსა რჩება ეს მამულები და ბანკს თვალსაჩინო ზარალი ეძლევა“. ხოლო ამგვარი არა კანონიერი მოქმედება ქალაქის გირაოს დაფასების შესახებ, და ის ამბავი, რომ ფინანსთა სამინისტროსათვის იმალება ფრიად საყურადღებო გარემოება, რომელიც მოითხოვება გირავნობის ფურცლების გამოცემისათვის, ეს უმართებულოაო (неблаговидно) ამბობს ბ-ნ მინისტრის ქაღალდი.

მერე რა გარემოება დავმალეთ ისეთი, რომელიც ფრიად საყურადღებოა? ყოველივე ცნობა, რომელსაც კი თხოულობს საკრედიტო კანცელარია, ვატყობინებთ იმნაირად, როგორც ნაჩვენებია მისგანვე სამაგალითოდ მოცემულს ჟურნალში, და რომელშიაც მოხსენებულია ყველა საჭირო გარემოება, რაზედ ჰფუძნდება გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება-რთვა. აი ის სამაგალითო ჟურნალი, რომლითაც ვთხოულობთ სესხისათვის საჭირო გირავნობის ფურცლების გამოცემის ნებას. ამაში მოხსენებულია ყველა გარემოება, რომელსაც თხოულობს საკრედიტო კანცელარია. სასურველია გვიჩვენონ ისეთი ჟურნალი, რომელშიაც ყველა საჭირო გარემოება არ იყოს ნაჩვენები. ამის შესახებ არც რევიზიის ანგარიშშია რამე ნათქვამი და საიდამ გამოიყვანეს ეს დამალვა რაღაცა გარემოებისა, ჩვენ არ ვიცით. ამის შემდეგ უმორჩილესადა გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება სიტყვებს: „დამალვას“ და „неблаговидно“-ს. რაში ხედავენ ამ „დამალვას“ და „неблаговидно“-ს. რამდენად ეს დასკვნა შეესაბამება ზემოხსენებულს გამოძიებას რევიზორისას ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია. ეს „დამალვა“ (укрытіе) და „неблаговидно“ ის ლახტია, რომელსაც ჩვენ გვიქნევენ ჩვენი კეთილმყოფელნი, თუმც ეს არ დაგვიმსახურებია, მაგრამ ჩვენმა მეგობრებმა ესეც არ იკმარეს და „неблаговидно“-ი „ბიწიერებად“ გვიქციეს და ეს საქვეყნოდ განაცხადეს თავის წერილში, რომელიც «Новое Обозрѣніе»-ში იყო დასტამბული. და იცით ვინ მოაწერა ამ წერილს ხელი? მაგრამ რა საჭიროა? ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, მე მათ სახელს არ [illegible], რომ ჩვენი ხოლო წარმოვიდგ[illegible] მოქმედება [illegible] „неблаговидный“ ბიწიერებას [რაღა ადგილი [illegible]ქვს აქა? неблаговидно დამ ბიწიერებამდე ხომ დიდი მანძილია. თვით ამ წერილის დამწერთათვის მიმინდვია მისი განსჯა, თუ რამდენად «благовидность»-ის უქონელობა ნიშნავს ბიწიერების ქონელობას.

გრ. აბაშიძე.

(შემდეგი იქნება).

## კიდევ დღევანდელ ჭირ-ვარამზე.

(სოფ. ხრეითში და წესში მომხდარ უბედურების გამო).

ხშირად, როგორც ხალხის, ისე კერძო ადამიანის ცხოვრებაში ერთ უცნაურ მოვლენას ვამჩნევთ: ერთიც და მეორეც თითქმის ყოველთვის იმისთანა შემთხვევას ანდომებს მთელს თავისს ზრუნვას, იმისთანა მოვლენას აქცევს მთელს თავისს ყურადღებას, რომელიც უცებითია, იშვიათია, თვალსაჩინოა, მაშინ, როდესაც ის, რაც დღე მუდამ ხდება ან ხანგრძლივ გრძელდება და ხან-და-ხან თავისს შედეგებით უფროც საშინელია, მავნებელია ყოველ-მხრივ ხალხის კეთილ-დღეობისათვის, მცირედს ყურადღებასაც არ იწვევს საზოგადოებაში. ომის ამბავი, რომელმაც, ვსთქვათ, ორასი-სამასი კაცი იმსხვერპლა, ყველა ქვეყნებს შემოივლის, მრავალნაირს თანაგრძნობას დაშავებულთადმი და ზომებს იწვევს ხოლმე, მაშინ, როდესაც წყალ-დიდობამ და დიდმა თოვლიანობამ რომ ათასიც იმსხვერპლოს, ეს ამბავი ერთს კუთხეს იშვიათად თუ გარდასცილდება. რატომ ხდება ასე? მიტომ, რომ ომის უბედურება თვალ-საჩინოა, მისგან გამოწვეული ზარალი ერთბაშია, ერთ დროულია, წყალდიდობა-თოვლიანობის ზარალი-კი ისე ადვილად შესამჩნევი არ არის, მიტომ, რომ ამ მოვლენას ცოტ-ცოტა, მაგრამ ხანგრძლივ მოაქვს ზარალი, თუმცა, როგორც ვთქვით, შეიძლება უფრო მეტიც ომთან შედარებით. იქ, სადაც ხოლერა გაჩნდება ხოლმე, ხალხი თავზარ-დაცემული რაღაც ფაცა-ფუცშია, მრავალნაირ საშუალებებს ღებულობს, როგორც მთავრობა, ისე კერძოდ საზოგადოება, რაიმე სხვა იმისთანა გადამდებ სენსკი, რომელიც მუდმივი სტუმარია ხალხისა და რომელიც ნელ-ნელა, მაგრამ ყოველთვის მუსრს ავლებს, რომელიც გაცილებით უფრო საშინელია და უარესი თავისს შედეგებით ხოლერაზედ, ისე გულ გრილად უცქერის ყოველი, თითქო აქ საზრუნველი არა იყოს რა. შიმშილი, ერთის წლის მოუსავლობის გამო ჩამოვარდნილი, მთელ ქვეყანას შეანძრევს ხოლმე, ის შიმშილი-კი, რომელიც მუდამ არსებობს მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ მშიერთა და გაჭირვებულთა რიცხვი უფრო მცირეა, ერთობ სუსტ თანაგრძნობას იწვევს საზოგადოებაში, თითქმის არავითარ ენერგიულ ზომებს არა ღებულობენ ამგვარ შიმშილის მოსასპობად.

ყოველი ეს ჩვენ მოგვაგონა დღევანდელმა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა ჭირ-ვარამმა, რომ[illegible]ც ლაპარაკს ჩვენ არ [illegible]ვიმლით იმ დრომდე, ვიდრ[illegible]ცირეოდნად მაინც არ გა[illegible]ვევთ მეტს ყურადღებას, [illegible] მზრუნველობას თუ საზოგადოებისა და თუ მთავრობის მხრივ. შეიძლება ბევრს თავიც მოვაბეზრეთ, მაგრამ რას იზამთ, როდესაც გაჭირვება წინ გვადგია და ერთიან გადაყლაპვას გვემუქრება. მოდი და ამისთანა პირობებში განუწყვეტელს ყვირილს მიშველებისას ნუ ვამბობ.

მართლაც-და, წარმოგიდგენიათ, ბატონებო, ისეთი ყოფა, რომ ქვეყანაში მშვიდობიანობა სუფევდეს, მაგრამ ომზედ უარესი რამ ხდებოდეს. აი აგერ ნახევარ წელიწადზედ მეტია ჩვენ გვეომება ბუნება, რომელიც მეტად შეუბრალებელი, სასტიკი, ძლიერი აღმოჩნდა და ადამიანი, ეს მძლეთა-მძლე არსება, ბუნებამ დაიმორჩილა. მან არ დაინდო არაფერი არც თვით ადამიანი, არც მისი სარჩო-საბადებელი; აოხრა და გაანადგურა თითქმის ყველაფერი, სადაც-კი მიუწვდებოდა ხელი. მარტო ის რომ ვიანგარიშოთ, თუ რამდენი სული ადამიანი უკვე შეიწირა წარსულმა წყალდიდობამ და დიდმა ზამთარმა, ტანში ჟრუანტელი დაგივლით. ამას ისიც რომ დაუმატოთ, რამდენი გახდა ავად ამ შემთხვევათა გამო, რამდენმა დაუბრუნებლად დაჰკარგა ტანის სიმრთელე, მაშინ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის რიცხვი დაღუპულთა, რომელიც ოფიციალურის სტატისტიკით ვიცით, ნახევრათაც ვერ გამოხატავს სინამდვილეს. ამასთანავე ისიც რომ მივიღოთ მხედველობაში თუ რამდენი ხალხის სიმდიდრე დაიღუპა და დღესაც იღუპება, მაშინ, გარწმუნებთ, დიდად არ შევცდებით, რომ დავასკვნათ—წრევანდელი წელიწადი ჩვენთვის ომზედ უარესია, გადამდებ სენზე უსასტიკესია, ერთის წლის მოუსავლობაზე უსაშინლესია. ცალკ-ცალკე მაგალითებს რომ მივმართოთ, ნათქვამში ცხადლივ დავრწმუნდებით.

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, თუ რა უბედურება მოხდა ამას წინად ს. ხრეითში, შორაპნის მაზრაში. მთელი სოფელი თითქმის ჩაქცეულა და ჩანგრეულა 30 მოსახლე. მართალია, აქ თვით მცხოვრებლები რაღაც განგებით გადარჩენილან და სიკვდილით არაფერი დაშავებიათ, მაგრამ განა სიკვდილზედ უარესი არ არის ის მდგომარეობა, როდესაც სრულიად უარარაოდ დარჩენილმა არ იცი, სად წახვიდე, ვის მიჰმართო, როგორ გამოჰკვებო შენი თავი, ცოლშვილი? გარდასახლება-და დარჩენიათ გაპარტახებულ ხრეითელებს, მაგრამ განა ამას-კი მზრუნველი არა სჭირია? ვინ მისცემს იმათ ადგილებს, ან როგორ უნდა შეუთვისდნენ იგინი ახალ ადგილს, როდესაც თავის მეტი აღარა გააჩნიათ,—აი საკითხავები, რომელზედ ძნელია რაიმე გარდაწყვეტილის პასუხის მიცემა.

მეორე მაგალითი არა ნაკლებ საზარელ სურათს წარმოადგენს.

სოფ. წესში (რაჭაში), როგორც გვიამბეს თვით იქაურებმა, ჯერ კიდევ შემოდგომას, როდესაც წყალდიდობა იყო, ერთი მოზრდილი მთა, რომელიც სიგრძით ორ ვერსტამდე და სიგანით ორას საჟენამდე იქნება, შენძრეულ[illegible] ისე, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუმჩნევიათ მისი დაწევა. შემდეგ, როდესაც ამ ადგილზე თოვლი დაუდვია, მისი თანდათანი დაწევა ვერავის შეუნიშნავს, მხოლოდ წარსულს 7 აპრილს ეს მთა უცბად სხვა-და-სხვა ადგილს დახსნილა, ზოგან 15 საჟ. სიმაღლეზედ ამაღლებულა და აღუვებულა, ზოგან 6 საჟენზედ დაწეულა. ამის გამო 50 კომლის სახლ-კარი მთლად ერთიანად დაღუპულა. ეხლა უფრო კიდევ იმისი შიში აქვთ, რომ შეიძ

ლება ეს მოზვავებული მიწა რიონში ჩაწვეს, შეაკავოს იგი და, ამ სახით, გარდმოსულმა წყალმა ქალები წალეკოს. ვინც უფრო წინდახედული ყოფილა, როდესაც შეუნიშნავთ სადაც არა ჩვეულებრივი აწევ-დაწევა მთისა, მაშინვე შესდგომიან თავიანთ ხელით თავისს სახლების ნგრევას, ყოველივე ქონების გამოტანას, ვისაც-კი არ შეუდვია დროზედ თავი, დაღუპულა სულიან-ხორციანად, ყოველივე თავისს ნაშრომ-ნაამაგარს, სახლს, ვენახს, ნათესს გამოსთხოვებია სამუდამოდ.

გრ. გველესიანი.

(დასასრული იქნება).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

გუშინდელს „ნოვ. ობოზრ.“-ში სწერია შემდეგი:

„ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: პირველსავე დღეს ჩვენის ბანკის წევრების საზოგადო კრების დაწყებისა თ. ნ. ვ. ორბელიანმა განაცხადა, რომ არ არის მოხერხებული კრების თავმჯდომარედ იქმნეს ზედამხედველ კომიტეტის წევრი, წევრი იმ კოლლეგიისა, რომლის მოქმედებაც უნდა გაარჩიოს და რომლის შესახებაც უნდა იქონიოს მსჯელობა ამ კრებამ, მაგრამ მაშინ სიმართლე თხოულობდა, რომ არც დ. ი. მუსხელაშვილი დაესახელებინათ კანდიდატად, რადგანაც მან კრების გახსნის წინად, თქვენს გაზეთში დასტამბა წერილი, რომელშიაც გამგეობის მოქმედება იცნო ბიწიერად“, (მართლა, ძალიან კარგი იქმნებოდა გაგვეგორაზედ აფუძნებს იგი თავისს აზრს) „კამათობა ასეთს ცხარე ხასიათს არ მიიღებდა, თუ რომ თავმჯდომარედ იყოს კაცი, რომელიც პარტიათა ბრძოლაში მეტად თვალ-საჩინო მონაწილეობას არ ღებულობს. მაშინ, შესაძლებელია, რომ ვერავინ გაბედავდა მიეთვისებია თავმჯდომარის უფლება, რაიცა მოხდა თ. ჩოლოყაშვილისა და კეზელის ამბავის გამო. შეიძლება ამ შენიშვნამ დაიგვიანა, მაგრამ ისა სჯობს გვიან მაინც იყოს დაბეჭდილი, ვინემ სულ არ იყოს.

## უცხოეთი

—

**სპარსეთი.** „ტანის“ რეპორტიორი, როგორც-კი გაიგო თურმე სპარსეთის შაჰის მოკვლა, წავიდა სპარსეთის ელჩთან პარისში გენერალ ნაზარაგოისთან, რომელმაც შემდეგი უთხრა:

არივითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სპარსეთში ამ ბოროტ-მოქმედების შემდეგ აჯანყება მოხდება და მშვიდობიანობა დაირღვევა. კანონის ძალით მემკვიდრედ უნდა იყოს უფროსი შვილი შაჰისა და მეფის შთამომავალის პრინცესსასი, რადგანაც უფროსი შვილი ზელე—სულთანის მოახლეს შვილია და ამიტომაც არ შეუძლია ტახტი დაიჭიროს. მესამე შვილის ნაიბი სალტანეს ეხლა უჭირავს სამხედრო მინისტრის ადგილი და არას დროს არ გამოუთქვამს სურვილი ტახტის დაჭერისა. მეზობელ სახელმწიფოთაგან არ მოელიან არავითარს უთანხმოებას, რადგან ინგლისთან და რუსეთთან სპარსეთი კარგს განწყობილებაშია. ელჩის აზრით ახალი შაჰის მეფობის დროსაც არ შეიცვლება ეს კეთილი განწყობილება რუსეთთან.

მართალია პრინცი ზელე სულთანი ინგლისის მომხრეა, მაგრამ ეს არაფერია, რადგან მას არ შეუძლია შაჰად იყვეს, რადგან ტახტი უკვე დაიჭირა რუსეთის მეგობარმა მუზაფარდინმა. „ტანი“-ს მეთაური ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ შესაძლოა უცხოელ სახემლწიფოთა გავლენა სპარსეთშიო და ეს-კი საშიშარი იქმნება არა თუ აზიისათვის, ევროპისათვისაც. ამგვარი ბრძოლა მოსალოდნელია მხოლოდ რუსეთსა და ინგლისს შორის, რომელსაც ეშინია, რომ რუსეთს არ ექმნეს უპირატესი გავლენა სპარსეთში. „ტანივე“ გვაძლევს საინტერესო ცნობებს შაჰის უფროსი შვილის ზელე-სულთანის შესახებ. მასა სურს შეებრძოლოს ძმას ტახტის შესახებ და თავისს ხმალზედ შემდეგი სიტყვები ამოაჭრევინა: „ამ ხმლით თავს მოვკვეთ ჩემს ძმას“. „ზელე-სულთანი—უმატებს „ტანი“—ინგლისელების ერთგულია“.

**ეგვიპტე.** «სენტრალ ნუზს» სწერენ ქაირიდამ პირველს მაისს: ამ დღეს მოხდაო პირველი შეტაკება დერვიშებთან აკაშეხის ახლო. სამი რაზმი კავალერიისა, რომელთაც ეხმარებოდა სუდანის ბატალიონი, და დერვიშები შეიტაკნენ დღეს. დერვიშებსა ჰყავდათ 200 ცხენოსანი და 1000 კაცი ფეხით მოსიარულე ჯარი. გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ დერვიშებმა უკან დაიხიეს. ეგვიპტის ჯარებიდამ ერთი კაცია მოკლული და კაპიტანმა ფიტონმა მიიღო უბრალო ჭრილობა. ეს პირველი შეტაკება ინგლისელების გამარჯვებით დამთავრდა და ეჭვი არ არის ინგლისელებს უფრო გაუღვიძებს მადას ამ ექსპედიციის განგრძობისას.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმომიჩინეს ფულით. მე მივიღე ამ დღეებში ბათუმში შეკრებილი ბ. ფ. გოგიჩაიშვილისაგან ოცდაოთხი (24 მ.) მანეთი. შემომწირველთა სია: ფ. გ—შვილმა 5 მ., გ. ჩხეიძემ 3 მ., გ. სოღორაშვილმა 1 მ., ზ. უმიკაშვილმა 3 მ., ნ. ღოღობერიძემ 5 მ., ეკატერინა სოღორაშვილმა 1 მ., ა. ვარძელოვმა 1 მ., ფ. ფილიპოვმა 1 მ., ლ. ფილიპოვმა 1 მ., ანნა სოღორაშვილმა 1 მ., ბაზოლმა 1 მ., კნიაზევიშვილმა 1 მანეთი.

კბილის კაექიმო სურსებზე მოსწავლე სამსონ ვაშაყმაძე.

ქ. პეტერბურგი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ჩოლოყაშვილნი. საქართველოს მეფის თეიმურაზის 25 სექტ. 1734 წლის გუჯარში გივი, შვილი მისი ედიშერი და ძმა გრიგოლ ჩოლოყაშვილნი თავადებად არიან წოდებულნი.

თავ[...] ჩოლოყაშვილთა გვარეულობა აღნიშნულია გ[...]ის თავადთა სიაში, რომელიც საქართველო[...] მეფის ერეკლე მეორის მიერ 1783 წ. რუს[...]ს მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა ა[...]ზედ დართული.

20 სექტ. 1825 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სასულიერო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და მეხუთე გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან თავადნი ჩოლოყაშვილნი: 1) ივანე და პრაპორშჩიკი ლუარსაბ გიორგის ძენი; 2) კაპიტანი გიორგი ქაიხოსროს ძე და შვილნი მისნი: ალექსანდრე და ნიკოლოზ და 3) პორუჩიკი აბელი და კაპიტანი ოთარ ქაიხოსროს ძენი.

უმართებულესის სენატის დადგენილებათ 22 სექტ. 1847 წ., 4 აპრილს 1856 წ. და 26 ოქტომბერს 1858 წ. ამგვარს შეუერთდნენ თავადნი ჩოლოყაშვილნი: ბიძინა, ზაქარია, აბელ და დავით ოთარის ძენი.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

29 აპრილი.

**მოსკოვი.** 28 აპრილს მოსკოვს მოვიდენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, უმთავრესი ობერ-ცერემონიმეისტერი, გვარდიის კორპუსის უფროსი და ჰოფმარშალი.

**ბერლინი.** გამოცხადდა იმპერატორის მანიფესტი, რომლითაც იმპერატორი მადლობასა და პატივისცემას უცხადებს ყველა იმ სამოქალაქო უწყების მსახურთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ფრანკფურტის ხელშეკრულობის მოხდენაში 25 წლის წინად.

**ფრანკფურტი მაინზე.** იმპერატორმა ვილჰელმმა დეპეშით მიულოცა თავ. ბისმარკს ფრანკფურტის ხელშეკრულების 25 წლის დღესასწაული.

**ათინა.** საბერძნეთის დედოფალი და მეფის შვილები—ნიკოლოზი და გიორგი—27 აპრილს სებასტოპოლს წავიდნენ.

**სოფია.** ბულგარიის მთავარს ვოკზალზე მიეგებნენ: მინისტრები, სამი მიტროპოლიტი, სამღვდელოება სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა წარმომადგენელნი, უცხო ქვეყანათა წარმომადგენელნი, პარლამენტის წევრები, ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი, ჯარი და დიდძალი ხალხი. ყველანი აღტაცებით მიეგებნენ. მთავარი სტოილოვთან ერთად სასახლეში წავიდა.

30 აპრილი.

**მოსკოვი.** 29 აპრილს მოხელენი, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევისათვის ჩამოვიდნენ, დიდს მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს მიულოცეს.

წერილები და დეპეშები იმ კორესპონდენტების სახელზედ, რომელნიც ჩამოვლიან დაგვირგვინებაზედ დასასწრებლად, შეიძლება გაიგზავნოს კორესპონდენტთა ბიუროში: პეტროვკა, რახმანოვის შესახვევი, კრისტის სახლი.

**ბაქო.** 29 აპრილს აქ ჩამოვიდა ხივის ხანი. იგი მიდის მოსკოვში დაგვირგვინებაზე დასასწრებლად; თან ახლავს შვილი, ოთხი მინისტრი და ამალა.

**პარიზი.** საფრანგეთის საგანგებო საელჩო 6 მაისს წავა დაგვირგვინების დღესასწაულზე დასასწრებლად.

სამოქალაქო არჩევნების შედეგი: 351 ქალაქში მოხდა არჩევნები, 254-ში უმეტესობა რესპუბლიკელია, 85—რადიკალი ანუ სოციალისტი და 20 კონსერვატორი; დანარჩენ 12 [...]ქალაქის არჩევნების კი ჯერ არ იციან.

[...]ონი. პრინცი გიორგი მიდის მოსკოვში.

**ვენა.** აქ მოვიდა მემკვიდრე თავადი ჩერნოგორიისა, რომელიც მოსკოვში მიდის.

**კონსტანტინეპოლი.** მრავალი სომეხი დაატუსაღეს.

**ლონდონი.** ჰერცოგი და ჰერცოგინია კანნაუტისა წავიდნენ რუსეთში.

ის ფაქტი, რომ ძლიერი ესკადრაა დაყენებული ნიუიორკის ნავთსადგურში მომასწავებელია იმისა, რომ კუბის კუნძულის საქმეებში ჩარევას აპირებენ.

სიმლიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ აპირებენ ინდოეთის ქვეითი ჯარის გაგზავნას სუაკიმში.

**სიმლა.** გარდაწყვეტილია გაგზავნონ სუაკიმში ჯართა რაზმები, ორი პოლკი ქვეითი ჯარისა, პოლკი კავალერიისა, ერთი ბატარეია საპიროთა. რაზმის სარდლად სქნება პოლკოვნიკი ეგერტონი.

**ნიუ-იორკი.** ერთ გემზე ესპანელებმა დაატყვევეს ამერიკელები, ეხლა ამბობენ ამ ამერიკელებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯესო. ეს ამბავი ძლიერ აღელვებს საზოგადოებას. სტატს სეკრეტარმა ოლნეიმ საგანგებო მოხსენება მიართვა პრეზიდენტს და შემდეგ შეატყობინა ესპანიის ელჩს, რომ კლიველენდის აზრით კუბის საქმე მეტად გამწვავდა და რომ საჭიროა ტყვეები არ დაისაჯონ. ესპანიის ელჩი სცდილობდა გაემართლებინა გენერალი ვეიმარის მოქმედება საერთაშორისო უფლების მოთხოვნილებით, მაგრამ ოლნეი მაინც თავისს აზრზე იდგა და ელჩმაც აღუთქვა მივიწერებიო დეპეშას მადრიდში. შტატების პრეზიდენტმა ბრძანა გაუგზავნეთ ამერიკის ელჩს მადრიდში და ამერიმის მთავარ-კონსულს ჰავანში ამგვარი დეპეშაო. „თუ ამერიკელებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სამოქალაქო სამაროლის განაჩენის გარეშე, კლიველენდი ამას ჩასთვლის არა მეგობრულ მოქმედებად“. ამბობენ, რომ ამ დეპეშების გამო ფლორიდის გუბერნატორმა მისცა ბრძანება მეხუთე ბატალიონს მოემზადე საომრადაო.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. ჯუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ჯუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—113).

ქირავდება
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

კვირას, 12 მაისს 1896 წ.
ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია
საზოგადო კრება
„ქალაქის ხარჯზე არსებულ სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა.

კრებაზე წარდგენილ იქმნება:
1. 1895 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
2. არჩევანი თავმჯდომარისა, მისის თანაშემწისა, გამგე კომიტეტის სამის წევრისა, მდივნისა და ხაზინადრისა,

დასაწყისი დილის 11 საათზედ.
(3—უ—2)

გამოვიდა და ისყიდება
ახალი წიგნი
მოწამის დღიური
თხზულება
ედმონდ დე-ამიჩისა.
ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ.
გამოცემული
ნინო ცისკარაშვილისაგან.
წიგნი ღირს ოთხ აბაზად და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.



(50—505—5)